„მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შესახებ” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2024 წლის 25 ივლისის N გ-24-9 / 331 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის მიზნით გამართული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი კომენტარების განხილვის ცხრილი			
კომენტარის წარმდგენი	**№**	**კომენტარი**	**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხი კომენტარზე**
შპს „მაგთიკომი“ შ-25-6/4873 28.112025	1	კომისიის 2024 წლის 25 ივლისის #გ-24-9/331 გადაწყვეტილების შესაბამისად მაგთიკომის მიერ 2024 წლის 1 ნოემბერს კომისიაში წარდგენილ იქნა მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების, ეროვნული როუმინგის და თანალოკაციის სავალდებულო მომსახურების შეთავაზების წინადადება (შემდგომში - ოფერტა); კომისიის 2024 წლის 31 დეკემბრის Nგ-24-08/3091 წერილით გვეცნობა, რომ ოფერტა აიტვირთა კომისიის ვებ-გვერდზე (2024 წლის 1 ნოემბერიდან 31 დეკემბრის პერიოდში კომისიასა და მაგთიკომს შორის მიმდინარეობდა ოფერტაში გარკვეული საკითხების დაზუსტება); კომისიის 2025 წლის 12 მარტის Nგ-25-08/488 წერილით მაგთიკომისგან გამოთხოვილ იქნა შესაბამისი ფინანსური გაანგარიშება, რომლის მიხედვითაც მიღებულ იქნა ოფერტის ფარგლებში გამოქვეყნებული დაშვების ტარიფები მსუბუქი და სრული MVNO-სთვის, ასევე ეროვნული როუმინგისთვის; კომისიის მოთხოვნის შესაბამისად, 2025 წლის 24 მარტს გამოგეგზავნათ მაგთიკომის მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების, ეროვნული როუმინგის და თანალოკაციის სავალდებულო მომსახურების შეთავაზების წინადადებებში მითითებული დაშვების ტარიფების შესაბამისი გაანგარიშების მოდელი (ფინანსური მოდელი), რომელიც შემუშავებულია საკონსულტაციო კომპანიის - Grant Thornton Advisory k.s. (Czech Republic) მიერ; კომისიის 2025 წლის 22 აპრილის Nგ-25-08/889 წერილით კომისიამ გამოითხოვა Grant Thornton-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი მეთოდოლოგია, რაც კომისიის განმარტებით დაეხმარებოდა მას წარმოდგენილი მოდელის გაცნობის პროცესში; კომისიის მოთხოვნის შესაბამისად, 2025 წლის 25 აპრილს გამოგეგზავნათ Grant Thornton-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი მეთოდოლოგია. ამასთან, მაგთიკომმა გამოთქვა მზაობა სამუშაო შეხვედრის გამართვაზე, მეთოდოლოგიის ცალკეული საკითხების განმარტებისათვის; მაგთიკომისთვის კომისიის 2025 წლის 6 აგვისტოს წერილით გახდა ცნობილი, რომ კომისია არ აპირებდა ფინანსური მოდელის შესწავლას,	კომისიის აპარატის კონკურენციის კვლევისა და ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის თანამშრომლებმა განიხილეს ოფერტაში წარმოდგენილი ტარიფები, რაც შეუსაბამოდ მაღალი აღმოჩნდა და აღნიშნულ შეფასებაზე მუშაობისას მიზანშეწონილად მიიჩნიეს ჰქონოდათ შესაბამისი მოდელი და მეთოდოლოგია. მისი გამოთხოვა მხოლოდ კომისიის მიერ საბითუმო ტარიფების რელევანტურობის ანალიზის პროცესში დამხმარე მასალად გამოყენების მიზანს ემსახურებოდა, რათა ცხადი გამხდარიყო ის ძირითადი პრინციპები, რაც იყო გამოყენებული ტარიფების გაანგარიშებისას. თუმცა, როგორც ამას კომისიის გადაწყვეტილება ითვალისწინებდა, ტარიფი უნდა დაეთვალა კომპანიას, ხოლო კომისიის მხრიდან ტარიფის გადამოწმება უნდა მომხდარიყო სხვა მექანიზმებით (კერძოდ, მარჟის შეკუმშვის ტესტის გამოყენებით). შესაბამისად, კომისიის მხრიდან ტარიფის გაანგარიშების მოდელისა და მეთოდოლოგიის რევიზია, მისი გაანალიზება და კორექტირება ამ პროცესის კონკრეტულ ეტაპზე არ განიხილებოდა/არ იყო მიზანშეწონილი. ამასთან, ჩვენს მიერ გაკეთებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ მაგთიკომის მიერ გამოქვეყნებული ტარიფები იყო არაპროპორციულად მაღალი(აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია წარმოდგენილია კომისიის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებაში (კომისიაში რეგისტრაციის ნომრით N გ-25-19/616) გადაწყვეტილებაში), რაც პოტენციური MVNO-სთვის კონკურენტულ საქმიანობას შეუძლებელს ხდიდა. კომისიამ ამ შეუსაბამობის შესახებ არაერთხელ აცნობა კომპანიას 2025 წლის 12 მარტის, 18 ივლისის, 6 აგვისტოსა, 15 აგვისტოს და ბოლოს 16 ოქტომბრის წერილებით (კომისიაში რეგისტრაციის ნომრებით N გ-25-08/488, N გ-25-08/1738; N გ-25-08/1885, გ25-08/1966 და N გ-25-08/2473 შესაბამისად) და მოუწოდა საკონსულტაციო კომპანიასთან ერთად განეხილა და უზრუნველეყო ხარჯებზე ორიენტირებული ტარიფების წარმოდგენა, რასაც შედეგი ამ დრომდე არ მოჰყოლია.

		მიუხედავად მაგთიკომის მოწოდებისა სამუშაო რეჟიმში მომხდარიყო ფინანსური მოდელის განხილვა. განხილვის მიზანი ბუნებრივია უნდა ყოფილიყო ყველა იმ შეუსაბამობის (ასეთი არსებობის შემთხვევაში) გამოვლენა, რაც კომისიას შეიძლება ჰქონოდა ფინანსურ მოდელთან მიმართებით; დღეის მდგომარეობით, კომისიამ ისე განაცხადა უარი Grant Thornton-ის მიერ შემუშავებულ ფინანსური მოდელის განხილვაზე, რომ ჩვენთვის უცნობია კონკრეტულად რას ან რატომ არ ეთანხმება მოდელში (რა არის არასწორი); მაგთიკომს არასდროს განუცხადებია უარი კომისიასთან ერთად მისთვის მისაღები ფორმით ოფერტაში გამოქვეყნებული საბითუმო ტარიფების სისწორეში დასარწმუნებლად რაიმე ქმედების განხორციელებაში.	
	2	როგორც მოგეხსენებათ, კანონმდებლობით მკაფიოდ არის განსაზღვრული კომისიის უფლებამოსილება თუ როგორ უნდა განხორციელდეს ავტორიზებულ პირზე (მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირზე) დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულების ცვლილება ან მასში დამატებების შეტანა. კერძოდ, ეს არის „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტი (კომისია უფლებამოსილია დააკონკრეტოს ამ კანონით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებები და მათი შესრულების პირობები, აგრეთვე მომსახურების ბაზრის კვლევისა და ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით ცვლილებები და დამატებები შეიტანოს სპეციფიკური ვალდებულებების პირობებში) და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის №5 დადგენილებით დამტკიცებული - ,,მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესები“-ს 27-ე მუხლი ("არაეფექტურად კონკურენტული ბაზრის შესაბამის სეგმენტზე განვითარებული ტენდენციების კვლევისა და ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით კომისია უფლებამოსილია ცვლილებები და დამატებები შეიტანოს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირისათვის დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებების კონკრეტულ პირობებში. ცვლილებებისა და დამატებების შეტანა უნდა განხორციელდეს ახლად გამოვლენილი გარემოებების შეფასების საფუძველზე ამ დებულების მუხლებით დადგენილი პრინციპებისა და მეთოდოლოგიური წესების შესაბამისად). კანონმდებელმა კომისიას სპეციფიკურ ვალდებულებებში ცვლილებების და დამატებების შეტანის უფლებამოსილება მიანიჭა მხოლოდ მომსახურების ბაზრის კვლევისა და ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მობილური მომსახურების ბაზრის სეგმენტზე ხელახალი კვლევა და ანალიზი არ ჩატარებულა, კომისია არ	კომპანიის მიერ წარმოდგენილი მოსაზრების მეორე ნაწილი შეეხებოდა კომისიის N N გ-24-9/331 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის სამართლებრივ მხარეს. კომპანია მიუთითებს, რომ კომისიას აღნიშნულ გადაწყვეტილებაში პროექტით გათვალისწინებული ცვლილების შეტანა უნდა განეხორციელებინა ბაზრის კვლევისა და ანალიზის განხორციელების საფუძველზე. აღნიშნული მოსაზრება ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონის, 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით: კომისია უფლებამოსილია დააკონკრეტოს ამ კანონით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებები და მათი შესრულების პირობები, აგრეთვე მომსახურების ბაზრის კვლევისა და ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით ცვლილებები და დამატებები შეიტანოს სპეციფიკური ვალდებულებების პირობებში. როგორც ჩანაწერიდან ირკვევა, სპეციფიკური ვალდებულებების დაკონკრეტება არის კომისიის უფლებამოსილება და მისი განხორციელება რაიმე სახის ბაზრის კვლევის ან ანალიზის ჩატარებას არ საჭიროებს. კომისიამ 2024 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „მაგთიკომს“ დააკისრა სპეციფიკური ვალდებულებები, 2025 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება კი მიზნად ისახავს წარმოდგენილი ვალდებულებების, კერძოდ 3.4 მუხლის „ე“ და „ზ“ პუნქტებისა და 3,5.9 მუხლების დაკონკრეტებას, იმ ნაწილში, რომ ტარიფების გაანგარიშება მოხდეს კომისიის მიერ, ნაცვლად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირისა. აღნიშნული შინაარსის ცვლილება არ გამომდინარეობს ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს ცვლილებიდან, შესაბამისად, არ დგას საჭიროება იყოს დაყრდნობილი ბაზრის კვლევისა და ანალიზის პროცესზე, ამასთან, არ წარმოადგენს სპეციფიკური ვალდებულების

		არის უფლებამოსილი ცვლილება შეიტანოს 2024 წლის 25 ივლისის #გ-24-9/331 გადაწყვეტილებით დადგენილ სპეციფიკურ ვალდებულებებში.	შინაარსობრივ ცვლილებას, არამედ მის აღსრულების პირობას და შესაბამისად, წარმოადგენს სპეციფიკური ვალდებულების დაკონკრეტებას და ექცევა კომისიის უფლებამოსილების ფარგლებში.

ეკატერინე იმედაძე

წევრი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ნათია კუკულაძე



წევრი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია